ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის სხდომის

ოქმი N 1

2024 წლის 26 სექტემბერს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში შედგა ვაკანტურ საათებზე მასწავლებელთა მოწვევის კონკურსი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. პროფ. მაია ბარამიძე - თავმჯდომარე
2. ასოც. პროფესორი ნათელა ფარტენაძე
3. პროფ. მაია კიკვაძე - მდივანი

დღის წესრიგი:

1. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა კონკურსი

/კომისიის თავმჯდომარე - პროფ. მაია ბარამიძე/

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კომისიის წევრები ინდივიდუალურად გაესაუბრნენ კონკურსანტებს.

მოისმინეს: 1.1. კონკურსანტ შორენა ლორთქიფანიძის პოზიცია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე საკონკურსოდ გამოცხადებული სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებით.

შ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ წერითი კომპეტენციების უნარების დაუფლება და განვითარება პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ კუთხით ის მზად არის თანამშრომლობისათვის. გამოცდილება ამ მიმართულებით აქვს და კიდევ უფრო წარმატებული იქნება ახალი სასწავლო წელი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. მაია კიკვაძემ აღნიშნა, რომ შ. ლორთქიფანიძე ერთი წელია ჩართულია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმართვის პროცესში. ამ ხნის განმავლობაში მან საკმაოდ კარგად გაართვა თავი

დაკისრებულ მოვალეობას, კარგად იმუშავა სტუდენტებთან და იმედი აქვს, რომ ასეც გააგრძელებს.

ასოც. პროფ. ნათელა ფარტენაძე - ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ შორენა არის გულისხმიერი, პასუხისმგებლიანი მასწავლებელი, ვიცნობ მისი მუშაობის სტილს და მხარს ვუჭერ, მოწვეულ იქნას ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე.

მოისმინეს: 1.2. შორენა ბოლქვაძის პოზიცია „აკადემიური წერის საფუძვლების" სწავლებასთან დაკავშირებით.

შ. ბოლქვაძე აღნიშნავს, რომ „აკადემიური წერის სწავლების გამოცდილება აქვს. ის ასწავლიდა კავკასიის უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალში აღნიშნულ სასწავლო კურსს. ბსუ-ს პროფესორთა გამოცდილების გაზიარებით, დახმარებით ის აცხადებს, რომ შეძლებს წარუძღვეს „აკადემიური წერის საფუძვლების" სასწავლო კურსს.

აზრი გამოთქვეს: მაია ბარამიძე - შორენას ვიცნობთ, ის იყო ჩვენი დოქტორანტი, წარმატებული და იმედი მაქვს, აქაც ვიხილავთ წარმატებული მასწავლებლის როლში. საინტერესოა, რა მეთოდებს გამოიყენებს იგი აუდიტორიაში მუშაობის პროცესში, ჩვენ ამ საკითხითაც დავინტერესდებით და სიამოვნებით მივიღებთ მის შეხედულებებს.

მოისმინეს: 1.3. თათია დავითაძის პოზიცია „აკადემიური წერის საფუძვლების" სწავლებასთან დაკავშირებით.

თ. დავითაძე აღნიშნავს, რომ „აკადემიური წერის საფუძვლების სასწავლო კურსი მას მიჰყავდა ბიზნესის ადმინისტრირების და განათლების ფაკულტეტებზე. იყო განსხვავებული დონის სტუდენტები, განსხვავებული მიდგომებით. ვფიქრობ, ჩემთვის სერიოზული გამოწვევაა აღნიშნული სასწავლო კურსის წაკითხვა და დიდი გამოცდილებაც.

აზრი გამოთქვეს: მაია კიკვაძე - თათია დავითაძემ საკმაოდ სერიოზულად იმუშავა გასულ წელს. ჩვენ ხშირად გვქონდა სწავლებასთან, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მსჯელობა. მომწონს მისი მიდგომა და ხედვები. წარმატებას ვუსურვებ!

მოისმინეს:1.4. ვალერი ოთხოზორიას პოზიცია სასწავლო კურსის „ლიტერატურა და ფსიქოანალიზი" სწავლებასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ნანა ტრაპაიძემ სთხოვა კონკურსანტ ვალერი ოთხზორიას წარედგინა თავი კომისიის წინაშე.

ვ. ოთხოზორიამ ისაუბრა თავისი აკადემიური და შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ. ის არის მოწვეული ლექტორი ილიაუნსა და ალტერ-ბრიჯში.

აქვს ორ წლიანი თანამშრომლობა ჩვენი უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურული პროცესების კვლევის სეზონურ სკოლასთან". ის მუშაობს პროზასა და დრამატურგიაში. არის ლიტერატურული პრემიის ,,საბას" ლაურეატი დრამატურგიის ნომინაციაში.

ვ. ოთხოზორიამ ისაუბრა თავისი სილაბუსის შესახებ. აღნიშნა, რომ ლიტერატურა, მათ შორის, ქართული ლიტერატურა ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან კვლევის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, რადგან ლიტერატურაში ისახება ადამიანი, რომელშიც თავს იყრის ხოლმე ის კულტურული დანაშრევები, რომლებიც ზემოქმედებენ მის ფსიქიკაზე, სულიერ ინტერესებზე. თავის მხრივ, ეს შინაგანი პროცესები გავლენას ახდენს წერის მანერაზე, ლიტერატურის ესთეტიკურ მხარეზე.

სილაბუსის ხედვა ეფუძნება სწორედ ადამიანისა და ლიტერატურული გამოხატვის ფორმის შესწავლას და შედარებით ანალიზს ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში.

სტუდენტები კურსის ფარგლებში შეისწავლიან სამეცნიერო და მხატვრულ მასალას. ეს მათ გამოადგებათ როგორ შემდგომი აკადემიური ინტერესებისათვის, ისე სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პრაქტიკული სფეროებში - ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

აზრი გამოთქვეს: მაია ბარამიძე - ქალბატონი ნანას წარდგინებით ის პერსპექტიული ახალგაზრდაა, აქვს აუდიტორიასთან მუშაობის გამოცდილება.

მაია კიკვაძე - მხარს ვუჭერთ დასახელებულ კანდიდატურას, იმედი გვაქვს, აუდიტორიასთან პირდაპირი კომუნიკაცია კიდევ უფრო კარგ შეხედულებას შეგვიქმნის კონკურსანტის შესახებ.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა ღია კენჭისყრით ერთხმად მხარი დაუჭირეს შორენა ლორთქიფანიძის, შორენა ბოლქვაძის, თათია დავითაძის, ვალერი ოთხოზორიას კანდიდატურებს გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციებზე მოსაწვევად.

სხდომის თავმჯდომარე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

პროფესორი: **მაია ბარამიძე**

სხდომის მდივანი, პროფესორი: **მაია კიკვაძე**